

13  
1961



მლიქვნელის დილის გამამხნევებელი ვარჯიში

61

№ 23 თბილისი ლექსები 1961



გამოსვლის XXXIX წელი, წაბი 20 კაპ.

პარტია შეურიგებლად იბრძვის და კვლავაც იბრძოლებს პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ, იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც აღგებნიან პარტიისა და სახელმწიფოს მოტყუების გზას, მლიქვნელების, კვერის დამკვერელების, თვალისამხვევების, ბიუროკრატების წინააღმდეგ.

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციიდან ხკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო).

ბიუროკრატი, მასთან მლიქვნელი, ძველის, წარსულის გადმონაშთები. ჩვენი ცხოვრების ეს ხორცმეტეები უნდა ამოვწვათ რკინის შანთებით.

# ძაღაღ პენსიონერებზე



პენსიაზე გასვლა სიხარულსაც იწვევს და სინანულსაც. გიხარია შენი შრომა და ღვაწლი შესაფერისად რომ დაფასდა და გენანება, შრომის საყოველთაო ფერხულისგან რომ ირიყები. მაგრამ პენსიაზე მაინც შენის ფეხით და შენის ნებით გადისხარ და, ასე ვთქვათ, ბედს ურიგდები.

ესაა ნებაყოფლობითი პენსიონერები. მაგრამ აღამიანი, შესაძლებელია, პენსიონერად უნებლიედაც იქცეს, იქცეს სამსახურში მოწყობის რამდენიმე წლის შემდეგაც, ან პირველსავე დღესაც. ამაში რაიმე რომ იყოს გასაკვირი, ეს არც მოხდებოდა, რაკი მოხდა, ცხადია, არაფერია გასაკვირი.


ჰოდა, თქვენც ნუ გაგიკვირდებათ. გაგრელებმაც იციან სიყვარული.

წიგნის სიყვარულიც სიყვარულია და, როცა ეს სიყვარული შეუღლებს, შეწუხდნენ გაგრელები, ცაა და ქვეყანას თვალი რომ აეხილა, ჩვენ ნულარ გვაბრძალებთ, ნუთუ გგონიათ, ბნელა ამ განათებულ და განათლებულ ქალაქშიო.

მაგრამ არ იქნა და არ დაადგა საშველი. წიგნებით ვაჭრობა ვაი-უშველებელი გახდა.

გაგრამიც იყო წიგნის ერთი დედისერთა მალაზია.

1961 წლის საბედისწერო 13 ივლისს გაათავისუფლეს მისი გამგე ნიკოლოზ დგებუაძე და მის ადგილზე ვახტანგ როდონაია დაანიშნეს.



ნახ. ვ. კუმბურიძისა

— ეს როგორ მოხდა, რომ ასე სწორად ვიანგარიშებიათ?  
— ჭერ ახალი ოფიციალტი გახლავართ, ბატონო!

დაიწყო რევიზია „საქწიგნის“ წარმომადგენლების რევიზორ-ბუღალტრის ჯულიეტა მესხელისა და რევიზორ-ინვენტარიზატორის ნინა კიკვაძის მონაწილეობით.

ისინჯებოდა წიგნები, იწერებოდა ფასები, ანგარიშდებოდა, ჯამდებოდა, ხდებოდა ინვენტარიზაცია, ტრედდებოდა ქალაქები, იხარჯებოდა მეღანი, ერთის სიტყვით, იღვრებოდა ოფლი და ოფლით ინამებოდა ჭკუითა თუ ოფლით დაწერილ წიგნთა ათასები.

მიმდინარე წლის 27 ივლისის შუადღისას, საღ იყო და საღ არა, წიგნის მალაზიის ზემოთ, მეორე და პირველ სართულებს შორის იდუმალებით მოცული, ცისა თუ მიწის მიერ უკვალოდ ჩაყლაპული უცნობი პიროვნების მიერ გადაგდებულმა პაპიროსის ჩაუქრობელმა ნაშვვმა ხანძარი გააჩინა. ცეცხლმა თავისი ცეცხლი და მახვილი წიგნების საწყობისკენაც მიმართა და ის იყო უღმობელ სტიქიას მათი სახსენებელიც უნდა მოესპო, რომ მოგვიანებით, მაგრამ მაინც თავის დროზე მოსულმა სახანძრო რაზმმა ცეცხლს გაცეცხლებით შეუტია და წყალი შეუყენა.

სანახევროდ დაფერვლილ და სანახევროდ წყალში ამოწულ, უწესრიგოდ მიყრილ-მოყრილ წიგნებთან საწყობს ლუქი დაედო და რევიზიაც შეწყდა.

მერე „სპეციალური დადგენილების ძალითა და მეოხებით ახალი რევიზია, ახლა უკვე „აფხაზწიგნვაჭრობის“ ინსპექტორის გიორგი შარას მეთაურობით, მოველინა ნახანძრალ მალაზიას, ახლა უკვე ხანძრის მიერ მიყენებული ზარალს დასადგენად და გამოსარკვევად.

რა დაიწვა და რა არა, რა დაიწვა და რამდენი, რატომ ეს დაიწვა და არა ის, — აი კარდინალური საკითხები, რომლებიც უნდა ამოეხსნა კომისიას.

ვარცა ეს წიგნი თუ არ ვარცა, იყიდის ამას მკითხველი თუ არ იყიდის, ზარალად უნდა ჩაითვალოს, თუ არ უნდა ჩაითვალოს, — აი შემხვედრი კითხვები. ამა წლის 11 ნოემბრისათვის უკვე აღწერილ იქნა ეს ზარალი, აღწერის ქალაქები დახვავდა კილოგრამობით, მერე შეიკრა, შეიფუთა და დიდის ამბით გაიგზავნა თბილისქალაქს.

ახლა კიდევ ვინ იცის, როდის გაიხსნება ეს მალაზია?

და ეს მაშინ, როცა ხელფასს იღებს მალაზიის ძველი გამგეც და ახალი გამგეც, ორი სექციონერიც, კიოსკის ორი გამყიდველი, ერთი დამლაგებელი და „საქწიგნის“ ორი წარმომადგენელი, ყველა მათგანი სისხლსაგსეა და ყოველ მათგანს უნდა სასარგებლო საქმე აკეთოს, ყველას სურს წიგნებით მოამადა რაგოს, როგორც ვაგრის რაიონის მცხოვრებლები, ისე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული დამსვენებლები, ეს ზღვისპირას თავმოყრილი ზღვა ხალხი. მაგრამ მათი სურვილი სურვილადვე რჩება, ხოლო თვითონ ისინი ძალად პენსიონერებად.

გაგრამი ფანქრის შეძენა რომ მოისურვო, ან კალამი დაგჭირდეს, სხვა მეზობელ რაიონში უნდა გახვიდე, ალბათ, ეს სასარგებლოცაა, გაიხიარებ კიდევ, თვალს წყალს დააღვეინებ და მუხლებს გაიმართავ, და თუ ერთ კაპიკიან ფანქრის საყიდლად რამდენიმე მანეთს დახარჯავ და მთელ დღეს დაკარგავ, ეს რა საკითხავია.

ისე სოხუმშიაც წიგნებს ტრიკოტაჟი რომ ურჩევნიათ, რა დასაძრახია, ტრიკოტაჟიც რომ პირველი მოხმარების საგანია და დიახაც, რომ ფრიალ საქითო. წიგნის მალაზიის ნაცვლად „სოხუმშირეწვვაჭრობამ“ აკი ტრიკოტაჟის მალაზია გახსნა და წიგნი ტრიკოტაჟს დააჯაბნინა.

ვერც იმისათვის მოინახა თანხა, რომ სოხუმის წიგნის პირველი მალაზიის იატაკი შეეკეთებინათ, მის პარკეტამოცვენილ იატაკზე აკი ან ფეხებს მოიმტვრევა კაცი, ან კისერს.

ახალი კიოსკებისა და საწყობების აშენებაზე აქ კრინტს არავინ ძრავს, და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ სუვენირები უფრო საღდება და, ესეც არ იყოს წიგნის კითხვით თვალი ხომ არ უნდა გაუფუჭდეთ ადგილობრივ მცხოვრებლებსა და დასასვენებლად ჩამოსულ მოქალაქეებს.

ი. სოხუმალი

ნ.ბ. ა. კანდელაკისა



— მოდის ბარდა — ხაბარდა!

ბავშვობიდანვე მძულდა ციფრი «2». თქვენც მიხვდებით, რომ ეს სიძულვილი სკოლიდან გამოიყვება. ისიც მოგეხსენებათ, რომ სკოლიდან გამოყოფილი ცუდი დიდხანს სდევს ადამიანს. ორიანი შემდეგ შიშ არ მომცილება. საბურთალოს ერთ-ერთ ქუჩაზე ორ ნომერ სახლში შესანიშნავი ოროთახიანი ბინა მივიღე და ვიფიქრე ახლა მაინც მომშორებოდა ეს საბედისწერო «2», მაგრამ ყველაფერს იღბალი უნდა თურმე. სამსახურიდან რომ შინ წავიდე, ან შინიდან გავუდგე სამსახურის გზას, ორ ნომერ ავტობუსში უნდა ჩავჯდე. აი სწორედ ამ ორიანმა შეიძლება წაიღოს ჩემი უკანასკნელი სიმშვიდე და ამავე ორიანით გასაცილებელი გავხდე საბურთალოს სასაფლაომდე.

სად ორი ნომერი ავტობუსი და სად სასაფლაო, იტყვიან თქვენ, სახალხო ტრანსპორტი მკვდარს როდის აცილებდაო, ზედ ამას დააყოლებთ და გაკვირვების ნიშნებსაც ბლომად დასვამთ. მაგრამ ყური მიგდეთ და საიდუმლოებაში გაგარკვევთ.

ავტოტრანსპორტის კანტორა დადგენილი წესის მიხედვით კერძო შეკვეთებს იღებს ავტობუსებზე. ნაქირავეები ავტობუსი უმთავრესად გარდაცვლილთა ჭირისუფლებს სჭირდებათ ცხედრის ნაცნობ-გამცილებელთა სასაფლაომდე გადასაყვანად. ადვილი მისახვედრია, რომ ავტოტრანსპორტის კანტორაში დღეში


## პოპულარული „ორიანი“

ათი შეკვეთა მაინც მოიყრის თავს. შეკვეთები ავტობუსთა გარაჟს ეგზავნება სისრულეში მოსაყვანად. ხსენებული გარაჟი კი საუბედუროდ პავლოვის ქუჩაზე მდებარეობს. რაკი გარაჟში სათადარიგო ავტობუსები არ მოიპოვება გასაქირაველად, გამოდის გარაჟის მესვეური გარეთ ავტობუსებზე სანადიროდ. პავლოვის ქუჩაზე, მოგეხსენებათ, ღრმალეულში, ნავთლულში, ან ვაკეში მოსიარულე ავტობუსი არ გაივლის. აქ ორი ნომერი დაბრძანდება, გადაუდგება წინ ეს «მონადირე» ორი ნომრის მძღოლს.

საგზურს ჩამოართმევს და უბრძანებს რეისის დამთავრებისთანავე გარაჟში დაბრუნდეს. ეს ავტობუსი და სხვა რამდენიმე მისი ორიანი ამხანაგი ერთი საათის შემდეგ უკვე პროცესიებს მიჰყვებიან უკან დარბაისლური ნაბიჯებით და დილით თუ ოცდაოთხი მანქანა მუშაობს ამ მარშრუტით, საღამოთი უკვე მისი ნახევარიც აღარ არის. ალბათ, ამის ბრალია, რომ აქ მოძრაობა უმთავრესად ღამის თორმეტის ნახევარზე წყდება, ნაცვლად პირველი საათისა.

მაგალითისათვის, თუ გნებავთ, ორი ბედნიერი დღე დავასახელოთ: თვრამეტი ნოემბრისათვის ოცდაოთხი მანქანის მაგიერ ოცდაორი მანქანა გამოვიდა ხაზზე. საღამო ჟამს კი თხუთმეტიდა დარჩა მგზავრების განკარგულებაში. ცხრამეტი ნოემბრისათვის კი უკვე წინა დღეზე ერთით ნაკლები, ოცდაერთი მანქანა ეწვია სამუშაოს და საღამოს ექვსი მათგანი წავიდა საქელებოდ.

ამ ავტობუსით საღამოს რამდენჯერმე მგზავრობის შემდეგ ციფრი «2» უფრო მეტად შემძულდა და საკუთარ ორ ფეხს, ან ორ ხელს რომ დაეხედავ, კანკალი მიტანს. ყოველივე ამის შემდეგ საჭიროა კკითხოთ ავტოტრანსპორტის კანტორას, ცოცხლებს თუ არაფრად გვაგდებს, მკვდრებს რალას ერჩის, სამარის კარამდე ორიანებით რომ აცილებს?





დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ასე გასინჯეთ, მეზობელიც მიყვარს... თავი ყველას მირჩევნია. ამიტომ მეზობელს თავზე ვერ დავისვამ. ჩემი კარის მეზობელი ანთიმოზა კი ისე გავიდა თავს, რომ სიცოცხლე გამიმწარა. ერთ დროს მეგობრებს, ახლა ჩვენი მეორე ნახევრების წყალობით, თუ სხვა მიზეზებით, შავმა კატამ გაგვიარა შუაში. ამ წუთს ანთიმოზისთვის არ მცალია: ჩემმა მძლოლმა არტუშამ ახალი საზრუნავი გამიჩინა.

- სიგნალი აღარ მუშაობს, ხაზინჯან.
- შენ და შენი სიგნალი! რამდენჯერ უნდა გააკეთებინო?
- ეე, ძველია და... ერთი კარგი მასტერი ვიცი, წავალ და...
- სადღა წახვალ ასე გვიან?
- მასტერთან წავალ რალა, სახლში.
- სახლში?!



მძლოლის სიტყვამ უცებ ამითო ტვინში ხანძარი. სიგნალი, ოსტატი და ანთიმოზი ერთად წარმოვიდგინე. საჭეს მიუჯექი. მალე ოსტატთან გავჩნდი. ასე, ორმოციოდე წლის სანდომიანი კაცი იყო. ერთმანეთს მივესალმეთ.

- ვაა!—ხმააწევით თქვა ოსტატმა, როცა ჩვენი მისვლის მიზანი გაიგო.—ისეთი საგნალი გაგაკეთო, თუგინდ შენი სახელი თქვას.
- ანთიმოზას ვერ ათქმევინებ?
- ანთიმოზა ჩერუზჩურ სლოჟნია... სამივეს გაგვეცინა,
- ეს მითხარ, ოჯახში რამდენი გყავს?
- ორი ბიჭი, სამი გოგო, ერთიც ცოლი, მე და სიდედრი.
- უპ, უპ! რვა სული ორ ოთახში როგორ ეტევით?
- ეეპ, ოთახებს რა უშავს. ვაინაჩრობით გავალთ. გლავნი ის არის, ისეთი აშარი მეზობლები მყავს, სიგნალის ხმას რომ გაიგონებენ, სულ ბნელები მოსდით.
- ალბათ ბევრი სამუშაო გაქვს.
- ბურის ფულს ვშოულოფ, მამ რა ვქნა, ჩემი ხელობა ეს არის.
- გახარებულმა კინალამ შევეყირე. დროზე შევიკავე თავი და ჩემი მიზანი არ გავამხილე. მხოლოდ ანთიმოზი წარმომიდგა ისევე. ოსტატი ჩემ სამსახურში მეორე დღის თერთმეტი საათისათვის დავიბარე. ათ საათზე კი კაბინეტში ჩემი განყოფილების გამგეს ვესაუბრებოდი.
- შენი ჩივილი მესმოდა აღრე, ცუდი მეზობელი მყავსო. ბინის გაცვლას ვაპირებო. რამე თუ მოაგვარე?
- განყოფილების გამგემ სახე მიიბრუნა და ცრემლი დამიმალა.
- ასეთი სულაყროლებულია, კაცო?—ცოტა არ იყოს შევწუხდი მეც.



გამგემ ვედრებითა და ცრემლით საგვ ევალებით გადმოხედა.

— კაი, კაი, რავა დედაკაცივით ტირი!—ვცადე მისი გამხსნევა,—ხალხნი ვართ, გიშველით. თუ გინდა, გავცვალთ ბინები. ოღონდ ჩემს ბინაში ერთი წვრილშვილის ბატრონი კაცი გადმოვა, ისიც ცოდვაა. შენ იმ კაცის ბინაში გადახვალ. ცუდი ბინა არა აქვს, ნათელია, ცენტრში...

— ლევან კირილოვიჩ, —ყვირილით შემაწყვეტინა გამგემ,—ამ ბედნიერებას ვინ გიყი გაექცევა, მარა, როგორ ჩაგაგდოთ იმ ჩემი ოხერი მეზობლის ხელში. დილით რომ დაიწყებს, სადამომდე არ...

- აპ, აპ! მაგის ნუ გეფიქრება. ჭირვეული მეზობლის მოთვინიერებას სწორედ ახლა ვსწავლობ.
- ვერ გაგწირავ, ლევან კირილოვიჩ, ვერ გაგწირავ...

ამდენმა შეცხადებამ ცოტა შემაფიქრინა და კინალამ უკან დავიხიე, მაგრამ ეშმაკად ისევე ანთი-



ნ. გ. ფირცხალავასი



უტექსტო ხუმრობა.

მოზა წარმოვიდგინე და გამგეს ნიავსავით ჩავჩურჩულე:

- უნდა დამეთანხმო და ჩემს მოადგილედ შენი დაწინაურება ჩემზე იყოს.
- ამ სიტყვით გამგე დავიყოლიე. თერთმეტ საათზე კი ოსტატს ლაბარაკით ტვინი ამოვულე. ისიც რომ დავითანხმე, ბინების გადაცვლასთან დაკავშირებული ხათაბალა მე ვიკისრე იმის შიშით, რომ საბუთების გაფორმებისას ჩემს რომელიმე კომპანიონს ღმერთი არ გასწყრომოდა და ეს აწყობილი საქმე არ ჩავშალა. ბინების გაცვლის წინდლით ანთიმოზას ავუარ-ჩავუარე.
- რას გიცინის მაგ მეჩხერი ულაში?—მკითხა რატომღაც შემკრთალმა ანთიმოზმა. ჩავიფხუკუნე და უხმოდ გავცილდი. აბა რას წარმოვიდგენდა, რომ ხვალ დილით ახალი მეზობელი მანქანის საყვირით დახანაკდებოდა მის გვერდით.
- მეორე დღეს მე. ოსტატი და გამგე ბარგის გადაზიდვას მოეუნდით. მესამე დღეს ოთახები მივაღაგეთ და დილაადრიან არტუშამ სიგნალი მომცა.




— გაუკეთებია, —ეთქვი და ქურაში გადავიხედე. მანქანა იქ არ დამხვდა. არტუშა განუწყვეტილად იძლეოდა სიგნალს. რაღაც უბედურებაა, ალბათ, —გავიფიქრე და ეზოში ჩავედი. მანქანა არც იქ იღვა. ოთახში შევედი, უფრო გარკვევით მომესმა საყვირის ხმა, წყვეტილი, დაჩინებული, გამყიფანი და ყურთწამლები, ფანჯრიდან მეზობელ ეზოში გადავიხედე. იქ რაღაც ჯიხურის მსგავსი ოთახი იდგა და ხმა იქიდან ამოდებოდა. სწრაფად გავვარდი ქურაში, მეზობელ ეზოში შევიჭერი და წამსვე ჯიხურთან გავჩნდი.

- აა, ხაზინჯან, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს მასტერსკოიში. რა კარგ დროს მოხვედი. ვაპ, ბიჭამითი მოსულხარ?!
- რას ბოდავ ყურუშსალო?
- რათა ვბოდავ? შენი სიგნალი გავაპრავერკე. პრეკრანის ზეუკ!—მითხრა და საყვირი ჩართო.
- აღარც გამორთულა, ზედ ყურებთან გაპკიოდა. თვალი გავახილე, გაბრუებული თავი გავაქნიე და ახლად მივხვდი, რომ სასწრაფო დახმარების მანქანის მძლოლი სიგნალით ანიშნებდა საავადმყოფოს კარისკაცს—ავადმყოფი მიიღეთო.

გ. რაბველიშვილი

# ნიანგის ფსელაგელი



## უცნობის წერილი

როგორ მოხვდა ლატვიის ქალაქ დაუგავილისიდან მახაჩყალაში გაგზავნილი წერილი მახარაძეში, ამის გარკვევა არც ისე იოლი აღმოჩნდა.

კეთილი და პატიოსანი. ვთქვით მტრედმა მიიტანა კონვერტი მახარაძეში. იქაურ ფოსტის მუშაკებს რა დაემართათ? კონვერტზე ხომ გარკვევით აწერია — მახაჩყალა? თუ მახარაძის ფოსტის მუშაკებს პლონიათ, რომ ყველა სიტყვა, რომელიც „მახა“-ზე იწყება, უსათუოდ მახარაძეს ნიშნავს? და სტახანოვის ქუჩა მახარაძის გარდა სხვა ქალაქში არსად არის?

შესაძლოა ამ წერილში სულ უმნიშვნელო ამბავია, ანდა პირიქით.

რედაქციაში არ მუშაობს გოგოლის ცნობისმოყვარე ფოსტ-მაისტერი, რომელიც ხსნიდა წერილებს, კითხულობდა და ქვეყნის ამბები იცოდა. ამას ნიანგი ვერ იკადრებს. არც იმას უკადრებია წერილისათვის რაიმე, ვინც ეს წერილი მოგვაწოდა. სწორადაც მოიქცა.

ეს უვნებელი კონვერტი ახლა ნიანგმა თვითონ შემოღო მახაჩყალაში გასაგზავნად წერილების თაროზე. იმედია „დროზე“ მიუვა პატრონს.

## გრაგვიკული სიხლა

ნეტავ რომელ ენაზე ლაპარაკობენ უმაინის ქუჩაზე მდებარე მოდების ატელიე № 16-ის დირექტორი და მისი მრევლი?

ვფიქრობ, ჩვენებური ამთ არაფერი სცხიათ. ესენი ინდონეზიელები უნდა იყვნენ...

რატომ მგონია ასე, ახლავე მოგახსენებთ:

პატივცემულო დირექტორო! თქვენს ატელიეს „ამწვენებს“ წარწერა „ქალთა და მამაკაცთა ზედა ტანსაცმელების შეკეთების მიღება“. რისი თქმაც გსურთ, გასაგებია, — ბევრ შეკვეთას ვიღებთო. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქართველი, კაცი ამას ასე არ იტყვოდა. ინდონეზიელი კი, იტყვოდა. ინდონეზიურ ენაში მრავლობითი რიცხვი ასე იწარმოება: დავუშვათ, უნდათ თქვენ ბავშვი — იტყვიან „ანაკ“. „ბავშვი“ მრავლობითში იქნება ანაკანაკ. მაგრამ ნაბეჭდში ასე როდია. ნაბეჭდში ეს სიტყვა ასეთ ფორმასღებულს: ანაკ?

თქვენ, გეტყობათ, ინდონეზიური ენა იცით, მაგრამ ცოტა გეშლებათ: იმის მაგიერ რომ თქვათ — შეკვეთებს შეკვეთებს, ამბობთ: „შეკვეთებებს“ და ასევე გადაგაქვთ ნაბეჭდშიც.

მოდით და ეს შეცდომაც გამოასწოროთ. რადგან უცხო ენაზე ლაპარაკობთ, ბარემ წერეთ უცხო ენაზე. თუ გსურთ „უკეთ გააგებინოთ“ ხალხს, ბევრ შეკვეთას ვიღებთო, მოხსენით ეგ წარწერა თქვენს ატელიეს და ახალი დაჰკიდეთ.

„ვიღებთ? ქალის? და მამაკაცის? ტანსაცმლის? შეკვეთას?.

## ნაკვეთები

- ბარიკაბერს ყველაზე მეტ შეფასებას ვინ აძლევს და — მელოტიო.
- ცოლი ქმარს უჩიოდა, ყოველ კვირას სანადიროდ რომ დადიხარ, ნეტავ რასა კლავო და — დროსაო.

- მეუღლე თვეში რამდენჯერ გხვდება ღიმილით და — ორჯერ, ხელფასის დღეებშიო.
- კონცერტზე თვალებს რატომ ხუჭავო და — ყურების დაცვა არ ძალმიძსო.

## პაუა კოკოტაშვილი

## ზინიაშკაბი



## წიგნის მაღაზიაში

- საინტერესო წიგნი არაფერი გაქვთ?
- როგორი გნებავთ?
- მრავალი მოქმედი პირი რომ იყოს და პატარა-პატარა ამბები მოთხრობილი.
- გვაქვს, — და გამყიდველმა საჩივრის წიგნი მიაწოდა.

## კაბლის მჭიმთან

- რა გაწუხებთ?
- მშშმუუუ...
- ვეტყვიმთან მიბრძანდით.

## მ. კაზარკვი

## ავტობუსის გაჩეჩებასთან

- ის იყო ავტობუსი ადგილიდან დაიძრა, რომ ერთი კაცი ავტობუსის კართან მიიჭრა.
- გააჩერე, გააჩერე!
  - ადგილი არ არის.
  - თუ ძმა ხარ, არ დამტოვო, როგორმე ჩავეტყვი.
  - ვერ ხედავ ჭედეაა?
  - ე, ბიჭო! ერთი ადგილი რაა?
  - ერთი რომ არაფერი იყოს, მაშინ თვლა ორიდან დაიწყებოდა. — მოუჭრა სიტყვა მძღოლმა და ავტობუსი დასძრა.

## ქ რ მ ბ ა შ ე

- მე დავამთავრე, — თქვა საწყობის გამგემ. — ვიმელოვნებ, რომ ყველა პერსონალად გამოიგებო.
- გაგიგებთ, ისილორე, გაგიგებთ.

## ზინი ჩხაიძე

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კომისია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე.

საქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 1-76-69, საერთო განყოფილების — 3-10-49

ბელოზ. დასაბ. 30/XI-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 2003, უფ 08898. ტირაჟი 4000



მილინარე წელს შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯებმა შთანთქმეს ბიუჯეტის 76%, ხოლო მთავრობას—როგორც საბიუჯეტო სამმართველოს დირექტორმა აღიარა—განზრახული აქვს ყოველწლიურად ზარდოს სამხედრო ხარჯები 10 მილიარდი დოლარით.

(გაზეთებიდან).

ახლა გადაშირიჩი, მომავალში უნდა გადაგულაკავ!